

ივანე როსტომაშვილის რედაქციით.

92 [ გინგინი, ა.]  
92

მოსწავლეთა და ხალხისათვის.

92

# სპრამ ლინკოლნი

ამერიკის ზანგების

განვათავისუფლებელი.

92

თარგმანი

იასონ წერეთლისა.

1448  
1053. 0266

სიმეანის

ტფილისი

სტამბა ე. ივ. ხელაძისა

1897.

Дозволено пепаурою Тифлисъ, 31 Марта 1897 года.



აბრამ ლინკოლნი,  
მეთექვსმეტე პრეზიდენტი ჩრდილო-ამერიკის შეერთე-  
ბული შტატებისა.  
დაიბადა 12 ოქტომბერალს 1809 წ., მოკლულ იქმნა 15 აპრილს 1865 წ.

ა ხ ა ლ გ ა ზ დ ე ბ ო! წაიკითხეთ ეს წიგნაკი:  
იგი ერთი-ორად ააფრთვანებს თქვენ სუ-  
ლიერ ძალებს!..

მ შ ა ბ ლ ე ბ ო! ხშირად წაუკითხეთ ეს წი-  
გნაკი თქვენს შვილებს: იგი ერთი-ორად  
გაამხნევებს მათ!..

### ქენთუქიდან ინდიანში.



ა დ ა შ ა ლ ე, მ კ ი თ ხ გ ე ლ ი, ჩ რ დ ი ლ ი ა მ ე რ ი გ ი ს რ უ გ ა  
დ ა მ თ ძ ე ბ ნ ე ქ ე ნ თ უ ქ ი ს დ ა ი ნ დ ი ა ნ ი ს შ ტ ა ტ ე ბ ი.  
ქ ე ნ თ უ ქ ი ს შ ტ ა ტ ს ი პ ლ კ ი თ დ ი დ ი მ დ ი ნ ა რ ი ს მ ი-  
ს ი ს ი პ ი ს მ ა რ ც ხ ნ ი ვ დ ა ი ნ დ ი ა ნ ი ს შ ტ ა ტ ს — მ ა რ ჯ ე ნ ი ვ. მ თ ა გ ა რ ი  
ქ ა ლ ა ქ ი ქ ე ნ თ უ ქ შ ი ა რ ი ს ფ რ ა ნ ქ ფ ი რ ტ ი დ ა ი ნ დ ი ა ნ შ ი — ი ნ დ ი ა-  
ნ ი პ ლ ი ...

ი ყ უ შ ე მ რ დ გ ი მ ა 1816 წ ლ ი ს ა, რ ო მ კ ი წ რ ი რ ი დ ა უ ს წ რ ი-  
მ ა ს წ რ ი რ ი გ ზ ი თ, მ ძ ი მ ე დ დ ა ტ კ ი რ თ უ ლ ი უ რ ე მ ი მ ი დ ი რ დ ა. ე ს  
უ რ ე მ ი ი ყ უ კ ი ნ მ ე თ ო მ ა ლ ი ნ კ ი ლ ნ ი ს ა, რ მ ე ლ ი ც ი მ უ ა მ ა დ  
ქ ე ნ თ უ ქ ი ს შ ტ ა ტ ი დ ა მ ი ნ დ ი ა ნ ი ს შ ტ ა ტ ი ს კ ე ნ მ ი ე მ გ ზ ა კ რ ე ბ რ დ ა ი ქ  
დ ა ს ა ს ა ს ლ ე ბ ლ ა დ. თ ვ ი თ ო ნ თ კ მ ა ლ ი ნ კ ი ლ ნ ი დ ა ც ი ლ ი მ ი ს ი

ურემზე ისხდნენ და შვილები-ქა, კრთა, შვიდი წლის გაუი, და მეორე, რვა წლის ქალი, ურემს შორიახლო მოსდევდნენ.

გაუის სახელი იყო ები, ე. ი. აბრამი; მას ხელში შოლტი ეჭირა და თავ-მოწონებით დრო-გამოშვებით ოდნავ სტუქ-საჟდა სიგამსდრისაგან ფერდებ-ჩაცვიკნულ ცხენს. ადგილი არ იყო მათთვის სამშობლო კერის დატოვება; ამას აშეარად მოწმობდა მათი მწესარე თვალები და საბრალო დედა-კაცის ცრემლები, მაგრამ სიღარიბებ და გაჭირებულმა ცხოვრებამ აომელა ისინი, უკეთესი საწხოვრებელი ადგილი მოეძებნათ.

ასე მიდიოდა ეს პატია ქარევანი დღითთ-დღე წინ და მხოლოდ პურის საჭირებად და ღამის გასათევად თუ დადგებოდნენ საღმე ცოტა ხნობით. აი, როგორც იყო მაილწიეს ოგიოს მდინარეს, რომელსაც ინდივიდები, წითელ-კანანი მკვიდრი ამერიკისა, სამართლიანად „ლამაზ მდინარეს“ ეძახიან. აქ ჩენი მოგზაურები გადასხდნენ ფართო ფსკერიან გემზე; გემი მსუბუქად მისრიალებით შემოდგომის წკიდებით მოდიდებულ მდინარეზე; საუცხოვოდ მორთულ-მრკაზმული საპირები აღტარებით გულს უკებდა ოჯახის პატარა მოგზაურების; მაგრამ უფრო სებს-კი დიდად არაფრად ართობდა ეს მშენიერი სანახაობა. ბაგშეები განსაკუთრებით აღტარებით უცტეროდნენ უურმნის სანაჭები მტევნებს, რომელთაც თავისი სიმძიმით სულ ძირს დაეწიათ კაზები...

მდინარის ორივე კიდით, ზოგი შორის და ზოგი ახლო, მოჩანდა მშენიერი მწვანე სერები, დაფარული უშეელებელი ჭანდრებით, წიფლებით და ნიგვზის ხეებით. მათ ხშირ მწვანეში აქა-იქ მოჩანდა პატარ-პატარა სოფლები, თავისი თეთ-

რად გაღესილი სახლებით, კოპტია ეზოებით, ბაღებით და ბოსტნებით.

ფართოდ გადაშლილ ჭავე-მინდვრებზე ჰქოვდნენ ცხენები და ძროხები, ღობეზე დანაკარდობდნენ ცელები. ციუკები. სან-გრძლივი მოგზაურობით ღონე-მიხდილ მგზავრებმა მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს თავისუფლად, როცა ნაკმა მიაყვანა ისინი ერთ მხიარულად მოჩახხასედ ბროლივით გამსჭირვალე წეართოთან, სადაც თომა ლინეთლმა ამჯობინა ახალი ბინის და-დება და ქოხის აშენება. დიდის გულმოდგინებით მიჰყებს ხე-ლი გადასახლებულებმა ერთი უბრალო ქოხის დაჯდერებას. საჭირო იყო საჩქაროდ დაჭრა სებიისა და მათი გათლა; ლჯახის თვითეულ წევრს უნდა დაუზარებელი მონაწილეობა მიეღო საერთო მუშაობაში; ამიტომ მიჰყო ხელი მუშაობას თვით პატარა ებმაც-ვი, და, აი, სულ სამს დღეში გადასახლე-ბულებმა კოპტია ქოხი წამოჭიმეს! ქოხში იყო მხოლოდ ერთი თახი და სხვენი. ეს უკანასკნელი ასრულებდა საკუჭისას და ტანისამოსის შესანას დანიშნულებას. მას ერთი სხვა და-ნიშნულებაც ჰქონდა: აქ იძინებდა პატარა ები. უოგელ საღამოს აძვრებოდა ის ციცაბო კიბით სხვენში, გაიშლიდა ლოგის და მიეცემოდა ტკბილ ძილსა.

წერა-კითხვა პატარა ებიმ ჭერ ჭენთუჭმივე შეისწავლა. და აქაც, ასალ ადგილ საცხოვრებელს, გულ-მოდგინებით გა-ნაგრძო სწავლა. მაგრამ წიგნზე უკეთ მას უფრო ის მეცნიე-რება ესმოდა, რომელიც გაშლილი იყო ნათელი და დაუკარდი ცის ჭერ. გაათავებდა გამგეთილს თუ არა, პატარა ები იმ წამსკე მიაშურებდა უკავილებს, სებს, ბაღახებს და ხეხილებს: აქ სწა-

კლობდა ის ბუნების დიდ საიდუმლოებას, უოკელი ჰეპელა, უოკელი ფრინგელი გააცნობდა მას რასმე ახალს, რასმე სახალისოს...

ზირველი საჩუქარი, რომელიც ჰიტარა ების მიიღო მამასაგან ახალს სამშობლოში—იყო თოფი. თოფი იმ დროს ძეირთასი განიძი იყო უკელასთვის, რადგან ყაჩალობა და მალმომრეობა ძალიან გარეცელებული იყო იმ მხარეს. ზირველი ფრინგელი, მოკლული ჰაწია მონადირისაგან, იყო გარეული ინდაური, რომელიც მეტად ახლო მოსულიყო მათ სახლთან.

ჭერ ერთ წელიწადსაც არ გაეკლო ლინჯოლნების ინდიანში მისკლის შემდეგ, რომ ჰიტარა ებეს დიდი უბედურება შექმთხა: მას მოუკვდა დედა. ჭირის უფლებმა ჩასვენეს საუკარელი მიცემულებული უბრალოდ გაეტებულ კუბოში და დამარხეს ერთს ჰაწია გორაკზე, ტუში, სადაც შემდეგში ჰიტარა ებეს ხშირად უკარდა მოსკლა და იქ კდომა, რადგანაც უკელაზე სამძიმოდ ეს დანაკლისი მას დაურჩა: იგი მოაკლდა დიდად საუკარელ არსებას, რომელისაც საუკეთესო გაკლენა ჰქონდა მასზე. ტებილი ნეტარ-ხსენება დედისა ებემ დაუკირდება შეინახა მთელს თავის სიწოდელეში. ის მხოლოდ დედის აწერდა თავის იმ ხასიათს, რომ უკელასთან თანხმობით ეწოვორა, უკელასთვის დანაშაული მიუტოვება, უკელასთან მშვიდად და ტებილად უოფილიყო...

## ცხოვრება ამერიკის ახალ-მოშენეთა.



მერიკის ახალ-მოშენეთი რაღაც განსაკუთრებული მოდგმის ხალხია. გარდა თოვისა, რულისა და დაბადების წიგნისა, ეს ხალხი თითქოს სისკას არასივერს საჭიროებს. უძრიოდასესი აკლა-დიდება გლებისა მისი წოლშეიღია, სოლო ძლიერი შარჯენა — საუკეთესო დამცველი მისი უფლებისა. ცხოვრების აკ-კარგიანობაში ეკროპიული ახალ-მოშენე უმეტეს ნაწილად ჭიათურა ამერიკის ტყის შვილებს — ინდიელებს. როცა მიდის სახადიროდ, ინდიელების მსგავსად ის იხერავს თავზე ტყავის ჭედს და იცვამს ფეხზე ტყავის ბანდულებს. თოვი, სახადირო ხურჯინი და ტყვაა-წამალი — ი მთელი მისი სამკაული. ჩიკ-ნესტიან ამინდებში ჩასაწმელად მას მაქ თან ფართო სახადირო კაბა და შალგარი, ირმის რბილი ტყავისა. ტანთ-საწმელი, როგორც ყოველიკე მოწყობილება ხიზნისა, მეტად რატატურად და უბრალოდ არის მოწყობილი. განსაკუთრებული მისი ადგილ-სამყოფელი არის ტყე: მთელი კირაობით მოშორებულია ის თავის სახლთანას. არ არის არც ერთი გუნდული მისგან მომოუკლელი: ის დადის-დახესეტება თვით ისეთ ადგილებშიაც-კი, სადაც ჭერ კაცის ფეხი არ დაღგმული! მან არ იწის რას ნიშნევს გზის დაბნევა. მტკიცე სასათო უნდა ჭჭონდეს იმ კაცს, რომელიც ჭიათურა შესკლას ათას-წლოვან დაბურულ ტყეში, რომლის წყვდიადი და სიბნელე თავზარს დასცემს სხვა ამაოდ

მორწმუნეს! საოცარი მუქდროება სუფეკს უზარმაზარ ხეებსა და ჭაგნართა შორის, რომელთაც, ხშირ-ფოთლოვანი შტოებით ისე აქვთ თავი შეკრული, რომ მსოფლოდ ათასში ერთ-ხელ თუ გაატანს მზის სიხივი ტყის სიღმრეში და ერთი წუთით თუ გააცოცხლებს საიდუმლოებით მოცულ სიბნელეს! მზავრის თავზე დაღულუნებენ გარეული მტრედები, მას ფეხ-ქიშები გი მიიზღავნებიან და გორგალსავით იკლავნებიან უშველებელი გველები. აქ ხშირად შეხვდებით ორ და სამ საუქნიან გველებსაც, რომლებიც ფერად-ფერადი ყვავილებივით და ცისარტყელასავით ელვარებენ მწვანეში. ნახავთ აქ ზონზოლა გამლებართსაც თავისებური სიკილით, თითქო ღმუისო, რომელიც ნელა და ზარმაცულად დგება კალხზე. ერთი სიტყვით, ამერიკის ტყებუნიგია თავ-ზარ-დამწერმი შიშისა, მაგრამ ეკროპიდელმა მონადირემ და-სძლია მისი წევდიადი ძალა! მას წინაშე თავს იხრის და მას ერთდება ის, რაც სიკისთვის დამღუპავ-დამნელებელია. მონადირე ხიზნები მოშეტებულად ერთად ნადირობდნენ: მოიყრიდნენ თავს რამდენიმე კარი და გაუდგებოდნენ გზას. დღისით ისინი დაუღალავად ჰსდევნიდნენ გარეულ ფრინველს და ნადირს. თუ რომ დიდ ნადირს მოჰქმდავნენ, მაგალითად, ირემს, ისინი ატყავებდნენ მას; და სორცს მაღალ ძელებზე ჰყიდებდნენ, რომ მცენს და სხვა ნადირს არ წაედო, სადამობით-კი ერთად იკრიფებოდნენ და ნოუიერი კასშმით და ზედ მიუღებული მსარული მუსაიფით, ხემრობით და სიმღერით თავ-დებოდა შრომაში გავლილი დღე...

მეოთხე მცნებას: „პეჩს დღეს იშრომე და გააკეთე უოკელი შენი საქმე, ხოლო პეშკიდე დღე მოახმარე ღვთის მსახურებას“ ამერიკის ასალ-მოშენენი შეუცვლელად ასრულებდნენ. არავინ

ხელს არ ახლებდა თოფს კვირაობით, ისე წმინდათ ინახავ-  
დნენ ამ დღეს. წინააღმდეგ შემთხვევა მი, მათი აზრით, მათ  
რაიმე უბედურება შემთხვევოდა.

ხანგრძლივი ნადირობის შემდეგ, ხიზანი, ათას გრა  
შაშსა და ჭირს გამოვლილი, ბრუნდებოდა ოჯახში და აქ  
ატარებდა დროს თავის ცოლ-შვილში. მისი უბრალი ქო-  
ნი სავსებით აკმაყოფილებდა მას. რომ ცოტაოდენი დაზათი  
მისრემოდა თოასს, სახლის ყოველი კუთვნილება კედლებზე  
ჭრინდათ ჩამოვიდული, ე. ი. ტანის-მოსი, წულები, ნაჯახები, და-  
ნები და სხვა ამგვარი. ტახტი, კვანი, მაგიდა, სკამი, კასრები  
და სხვ., — ყოველი ეს უბრალოდ და უშნოდ გაკეთებული  
თვითონ უჯახის უფროსისიგან — ამთვერებდა უბრალო სადგომის  
ღარის მორთულობას. ოჯახის შინაურ საქმეთა მქონეელობა,  
რადა თქმა უნდა, ხიზნის ცოლის საქმე იყო და, უნდა სიმარ-  
თლე გასოჭავა, დიდი ღვაწლი მიუძღვის ამერიკის პირველ მო-  
შენეთა ცოლების და ქალების თავიანთი ახალი საშმობლოს გა-  
გოთხა-აუგავებაში.

ასეთი უბრალო იყო შინაური მოწყობილობა ხიზნასა;  
ასეთი უბრალო იყო თვით მისი ცხოვრებაც. სადილ-კასშმად  
მჭადისა და მოხარშული სიმინდის მეტი არა გააჩნდა-რა მას;  
შეჭამდი და ხორცი სომ იშვიათი სანუკვარი იყო მის სახლში....

არა ნაკლებ უბრალო იყო თვითონ საზოგადო და  
მოქალაქობრივ ყოფა-ცხოვრება ხიზანთა. საერო სკა-ბასი  
და ბჭობა, აი, მათი ერთად-ერთი სამართალი და კანონი. და  
კაი მას, კინც მათ საზოგადო დადგენილებას გადუდებოდა!  
ზარმაცი კაცი საზოგადო მრისხანებას და შეურაცხებას ეძლეოდა  
და ხანდისხან არც ცემა-ტყებას აკლებდნენ. უფრო მძიმე დანაშა-

ულობისთვის-კი დამნაშავეს მოედოდა საშინელი საერო გასა-  
მართლება, რომელსაც „ლინჩი“ ეწოდებოდა. თუ სოფლის  
არ-მარეში ამონინებოდა საქონლის ჭურდი, ან უქმად მოხე-  
ტიალე, — დაუყოვნებოდი შეიკრიბებოდნენ უფროსი ხიზნე-  
ბი და გადასწულეტაგდნენ სასჯელს, რომელსაც უნდა ჩისჩე-  
მოდა დამნაშავე. შემდეგ, ჩეულებრივ ღამით, ხიზნები შესხდე-  
ბოდნენ ცხენებზე, მონახვდნენ დამნაშავეს და მოსთხოვდნენ  
ჰასუხს. ბრალდებული თუ კერ იმართლებდა თავს, განაჩენი იმ  
საათშივე მოჰყვდათ სისრულეში: მიაბამდნენ ხეზე და სცემ-  
დნენ მათრახით სისხლის დენამდე.

ამ სიმკაცრესთან ერთად ამერიკელი ხიზანი იყო გამს-  
ტიალული შესანიშნავად მტკიცე და შეურულებლის სარწმუნოე-  
ბით: მის ჟიწამდა ღმერთი, ოთვორენ უმანერ ყრმას, წრფელის  
გულით და სულით. უფრო სშინად დაბადება (წიგნი ჭავენის  
შექმნაზე) იყო ერთად-ერთი წიგნი მის სახლში, მითი ასწა-  
ვლიდა დედა კითხვას თავის შეილებს. სამღვდელო პირის  
წევენა იყო ლირს-შესანიშნავი შემთხვევა ხიზნის ცხოვრებაში,  
და იუქმებოდა როგორენ განსაზღვრულებული დღეობა. მეზობ-  
ლები, რამდენიმე გერსის დაშორებით მცხოვრებინი, დაუუღვნე-  
ბლივ მიაშურებდნენ იმ გაბედნიერებულ ოჯახს, სადაც ესტუმ-  
რებოდა მწირი მქადაგებული, რომელიც იმაგე დროს სამკურ-  
ნალო რჩევასაც აძლევდა ხიზნებს. იგივე ნათლავდა ბავშვებს,  
ხანდახან ათ-ათის წლისას, და იქნე, და ცის ქვეშ, აზიარებდა  
მორწმუნეთ.

ასე მიმდინარეობდა ალალ-მართალი და მკაცრი ცხოვრება  
ბუნების შეიღთა. ასეთი იყო ის ოჯახიც, საიდანაც გამოვიდა აბ-  
რამ ლინკოლნი, ჩრდილო-ამერიკის სახელ-განთქმული მამულის-

შვილი, ოომელიც გახდა ერთს ხსოვნაში კაშინგტონის თანა-  
ტოლი. ამ ოჯახში განუშორებულად სულეიმან მტკიცე სარწმუ-  
ნოება, ზნეობითი სიწმინდე და დაუშორეტელი სიუკარული მუდ-  
მივი, დაუცხრომელი შრომისადმი.

### სიუმაწვილის ხანა ებესი.



ოთხრობის დასაწყისში ჩვენ ვხედავთ დაინკოლნის  
სახლობას უკეთ გამგაზავრებულს ქენთუქიდან. ოჯახის  
წევრთა რიცხვის თანდათან მომატებამ და ცხოვრე-  
ბისთვის საკმაო სარჩეოს უშოვნელობამ დაატოვებინეს  
თომა დაინკოლნს ეს შტატი, სამშობლო მისი შვილის აბრა-  
მისა, ოომელიც დაიხადა 12 თებერვალს 1809 წელსა, მასშლო-  
ბლად ქალაქ გოჯენვილისა.

ჩვენ უკეთ ვნახეთ, ოოგორ მოუწვენენ სიზნები თავის  
ახალ სამშობლოში—ინდიაში და ოოგორი მძიმე დასაქლისი გამოსწავების მათ მაღე იქ მისკლის შემდეგ.

დედის სიკვდილს ფრთად დიდი გავლენა ჰქონდა შატარა  
გბეზე. ის შეიქმნა უფრო დაკრძალული და დაკარგებული უკა-  
ლაზეურში. დაწკრილებით, უმეტ-ნაკლებოდ გაისსენა მან უო-  
კელი სიტყვა, უოკელი დარიგება ძვირფასი მიცვალებულისა და  
დიდის გულ-მოდგინებით სცდილობდა მათს ასრულებას. მამაშ  
არ იცოდა, ოოგორ გამოეთქმა ქება თავისი მორჩილი ერთ-  
გული კაუისა, ოომელიც მცირე წლოვანების მიუხედავად საუ-  
კუთხოვთანაშემწე იუო უოკელს მის სამუშაოში.

მიურუებულის და უშენ ადგილზე, სადაც ცხოვრებდა ოკან-სობა ლინგოლისა, არ იყო იმ დროებში არც ერთი სკოლა. ამიტომ ბავშვი იძულებული იყო თვითონ განეგრძო სწავლა, რომელიც მხოლოდ დაბადების კითხვაში მდგრადარეობდა, რადგან სხვა წიგნები ხიზნებს არ გააჩნდათ. ეს სანატორეული უკინება პირველ ხანებში მხოლოდ ის იყო, რომ თავის დროზე ისეთივე განვითარებული გამსდარიყო, როგორიც მისი განსკენებული დედა იყო, რომელიც ხშირად ხმა-მაღლა უკითხავდა და უხსნიდა შეიღებს საღმრთო წერილს.

ერთხელ, საღამოზე, თომა ლინგოლიშვილის მოიტანა სახლში რაღაც ბოსჩა და ღიმილით გადასცა თავის ცნობის-მოუკარე შეიღის. ბავშვმა დაუყოვნებლივ გახსნა ბოსჩა და: ხმა-მაღლა შექვეითა სიხარულით. ბოსჩაში აღმოჩნდა პაწაწაწიგნი, თუმცა ძველი და დაკონკიდი, მაგრამ მისთვის მკრად სანატორეული. ეს იყო „მოგზაურობა პილიგრიმისა“ (წმინდა ადგილების მღლოცავისა), თხუზულება ჭონ ბენიენისა.\* ) ები მაშინვე მიუკვდა წიგნს და დაიწყო კითხვა.

თხუზულება ჭონ ბენიენისა შეიქნა ბავშვისთვის, რომელიც აქამდის მხოლოდ დაბადების და კატეხიზმოს კითხულობდა, ახალ დაუშრეტელ წეაროდ მის გონებით გახსნისა და მეცნიერების შემეტებისა. ები ის იყო, ხელ-მეორედ ემზადებოდა წიგნის წაკითხვას, რომ უეცრად ბედმა სხვა წიგნს შეახვედრა: ერთმა მოხუცებულმა მეზობელ დედა-კაცმა მისცა მის წასაკითხად „იგაუ-არაკნი ეზოპისა“. იგავ-არაკებში დახასიათებული პირ-

\*) ეს წიგნი ითვლება უკეთეს წიგნად ინგლისის კლასიკურს მწერლობაში.

უტევები და გონივრული ხუმრობანი, ოომელიც აქა-იქ გაფანტული იყო წიგნში,—დიდად ართობდნენ და ახალისებდნენ ებეს. თუ როგორის გულ-დადებით კითხულობდა ის ამ ახალ წიგნს, სჩანს იქიდან, ოომ წიგნის უმეტესი ნაწილი, თვის-და შეუნიშნავად, სულ ზეპირად დაისწავლა, ოაიცა შემდეგში დადად გამოადგა მას. შედარებითს ნიჭი, ენის სიმახვილეში და განუენებული საგნების სიცხადით დახასიათებაში—ამისთანებში ხომ მნელად თუ ვინმე აღემატებოდა აბრამს. ეს-კი სულ ამ გარა წიგნების კითხვის ნაყოფი იყო.

ამავე სანას ეკუთვნის მეორე ღირს-შესანიშნავი შემთხვევა აბრამის ცხოვრებაში: მან შეისწავლა წერა. მასწავლებლად გამოხნდა გინძე გენქესი, ოომელიც მათი ქოხის ახლო ცხოვრება და ცოტა-ორმ გაეგებოდა წერისა. პატარა ლინკოლნის ისეთი ნიჭი გამოიხინა წერაში, ოომ მალე თვით მასწავლებელსაც გაუსწორო ამ საჭირო ხელობაში, ოომელსაც ეს ამბავი მეტად უკერძდა და სასწაულს აჩემებდა. მელანი და ქალალი ლარიბ ხიზნებში მნელი საშოკარი იყო და მათ ნაცვლად ხშირად თავ დანახშირებულ ჭოხს ხმარობდნენ, ოომდითაც ბავში დაუდალავად ჭდანიდა ფიცრებზე და თვით მიწაზედაც. სწავლით გატაცებული ები არც საშინაო საჭმებს იკიწევდა: ის ხშირად გაიდებდა ცულს მხარზე და გასწევდა ტუეში შეშის საჭრელად...

ზის ები ერთხელ სის-ჭეშ და გამოჰქონდა ჭოხით დიდობანი, ლამაზი ასოები.

— აბრამ! აბრამ! სადა ხარ? აქ რას გეოთებ?—უკეთის დავითი, ერთი მის ტოლი ბიჭი, შეიღი მეზობელი მებაღისა.

— ვწერ!—თავ-მოწონებით მიუგებს აბრამი.

— მერე, სად ისწავლე წერა და რას სწერდი აქ?  
— ჩემს სახელსა და გვარს.

დავითმა იქვიანად შეხედა ამსანაგს: მას არ სჭეროდა, რომ მის ტოლს შეძლო ის ხელოუნება სროდნოდა, რომ-ლისაც მთელს არე-მარეში დიდსაც არა გაეგებოდა-რა. რომ გაემტეუნება აბრამი თავმომწონე კებაში, დავითი თვალის და-ხამხამებაში გაიქცა თავის მამასთან, რომელსაც ცოტა რამ გაე-გებოდა წერა-კითხვისა, მოიგვანა ამსანაგთან და სისოფა მამას წაეყითხა, რაც პატარა აბრამს დაეწერა.

— ა-ბ-რ-ა-მ ლ-ო-ნ-კ-ო-ლ-ნ-ი, — ფეხის დადგმით თი-თო ასოობით წაიგითხა გაკვირებულმა მებაღემ.

დედის სიკვდილის შემდეგ გაიარა თითქმის ცხრა თვემ. ერთხელ მოიხმო მამამ თავისი პაწია მწერალი და ჰქითხა: — „შენ ახლა კარგად იცი წერა, ხომ შეგიძლია დაწერა წერილისა?“

— კსინჯავ, — მიუგო აბრამმა, გახარებულმა ამისთანა სა-ურადღებო დასაქმებით. მოიტანა საწერ-კალამი და ქაღალდი, მიუჯდა ერთად-ერთს მაგიდას ოთახში და დაიწურ მამის გრძე-ლი ნათქვამის წერა. ამისი პატარა დაიკოც მათ გვერდით და-სკუპდა და გაკვირვებით შესცემოდა მეცნიერ ძამის. წერილი იყო მეზობელ მღვდელთან, მამა კლეინთან; ამ წერილში თომა ლინგოლნი სისოფა პატივცემულ დედელს, რომ ამასთან ამო-სულიყო და გარდაცვალებული ცოლის საფლავზე სიტყვა წარმო-ეთქვა. დასკა უკანასკენელი წერტილი ებემ და წერილი სმა-მაღლა წაიგითხა. მამა გაკვირვებული უსმენდა შვილს: აბრამი იყო პირკუ-ლი ლინგოლნთაგანი, რომელმაც წერა იცოდა!.. მღვდელი კლეინ-სი ამოკიდა ხიზნებთან მხოლოდ სამი თვის შემდეგ. პატარა ები გაეგება მოხუც მღვდელს და მიესალმა თუ არა, მაშინკე ჰქითხა:

— მიიღეთ თქვენ ჩემი წერილი?

— შენი წერილი, ე. ი. მამიშენის წერილი, ჩემო შეა-  
ღო? — გამოჭებითსა მღვდელმა.

— არა, ჩემი წერილი: მამამ არ იცის წერა.

— თუ ის წერილი მართლა შენია, ნე გრცხვენია:, ძალან  
რიგანათაა დაწერილი, — უთხრა მღვდელმა, რომელიც ბავშვს  
“დურსიანად თავზე სელს უსკამდა.

» ებეს წიგნთ-საცავს მაღე შეეძინა კიდევ ერთი თხზუ-  
ლება — „ვაშინგტონის ცხოვრების აღწერა“.

ებეს ჰაპა იყო თანა-მედროვე ამ დიდებული კაცისა. თვი-  
თონაც ხშირად უომნია მის წინამძღვრობით და ისე სიკა  
არაფერზე ეხალისებოდა დაპარაკი, ორგორც სასელგანთქმულს  
მერიდის განმათავისუფლებელზე, რომლის ხსენება წმინდად  
იყო ჟაცული დანერთლების ოჯახში. შთაბეჭდილება, გა-  
მოტანილი ბავშვის-მიერ ამ საერო გმირის ცხოვრების აღ-  
წერის კითხვიდან, ღრმად ჩაენერგა მის ასალ-გაზდა სულ  
და გულს. \*

გარან კიდე რამდენიმე თვემ. ებეს ცხოვრებაში მოხდა  
შესანიშნავი ამბავი. მამამ მოუნახა მას მეორე დედა, ქვრივი  
სალლი ჯონსტონი. ეს ლირისი დედა-კაცი ტებილად მოეპერა  
გერს და დიდის უურადღებით მიწერ სელი მის აღზრდას. მათი  
ქოხის ახლო იმ დროებში გაიხსნა კერძო სელი, და დედო-  
ნაცვალმა აპრამი დაუუღებლივ მიაბარა სელლაში. აქ აპრამი აღ-  
მოჩნდა სამაგალითო მოწაფედ და კითხვაში, წერაში და არათ-  
მეტიკაში მაღე გაუსწოო უკულა ამხანაგებს. თუმცა გულა  
უწინდებულად ისევ კეთალა და ალექსიანი დაურჩა. ამხანაგებს



ძალიან უუკარდათ ები და წყნარი, მშვიდობანი ხასიათისათვის  
დაარქებს მას „მშეიღობის მყოფელი“.

დედი-ნაცვალმა, რომელმაც ასე კარგად მიიჩნია ებე, უყიდა  
მას ახალი თავგასართობი წიგნი „ცხოვრება ჰენრი კლეისა“,  
— ცნობილის მშეკრ-მეტუელისა და საზოგადო მოღაწისა,  
რომელიც დიდად სახელ-განთქმული იყო იმ დროს. ამ წიგნს,  
რომელმაც მეტად გაართო ემაწევილი, ჭრინდა მისთვის დიდი  
მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ გააცნო ის სამშობლო სახელ-  
მწიფოს წესწყობილებას და იმ კითხებს, რომელიც იმ დროებ-  
ში ადელეგებდნენ მის თანამოქალაქეებს, რომელთა ბედ იღბლის  
გაღაწყვეტაში ებმა ბოლოს დროს პირველი ადგილი და-  
იყიდრა.

ძლივს მოსწრო ბავშვა გადავითხეა ამ წიგნისა, როცა  
მას შეუმთხევა ისეთი გარემოება, რომელიც უტუურ საბუთს  
გვაძლებს ჩეენ მის ცნობის მოუკარეობაზე და იმ განუსა-  
ზღვრელ პატიოსნებაზე, რომელიც იყო ქვა-კუთხედი მისი  
სასიათისა, რის-გამოც უწოდეს მას „პატიოსანი ლინკოლ-  
ინ“. .

ერთხელ აბრამმა შეიტყო ამხანაგისგან, რომ მის მას-  
წავლებელს, კრაუტორდს, აქვს კაშინგრონის ცხოვრების  
ვრცელი აღწერა, ბეკრად უკეთესი იმაზე, რომელიც უკეთ წა-  
კითხული ჭრინდა მას. მოინდომა მან უშოგა ეს წიგნი, რათაც  
უნდა დასჯდომოდა. წაკიდა მასწავლებელთან და სთხოვა წიგნი.  
მასწავლებელმა თხოვნა დიდის სამოვნებით აუსრულა და და-  
უმატა: „ნუ აჩქარდები, რამდენიც გინდა იკითხეო.“

აღტაცებულმა აბრამმა წამოიღო სახლში ეს საუნჯე და  
ნიადაგ თან ატარებდა მას. თვით მუშაობის დროსაც-კი არ

იშორებდა საუგარელ წიგნს. ერთხელ ებემ ეს წიგნი ხის ფულეროში შეინახა, აქ ახლო მექნებაო, ეგონა, რომ მან საუკეთესო და საიმედო ადგილი მოუნახა თავის ძეირთვას საუნჯეს, მაგრამ, როგორიც თავზარი დაეწა, როცა, შემდეგ ძლიერი შეასუნა. წვიმისა, ნასა, რომ წიგნი სულ დასკელებულიყო! ებემ ბეკრი იტირა, მაგრამ ცარიელი ტირილით რას გააწყობდა? აღლუ წიგნი და ფრთხილად გაშალა მზეზე, რომ როგორმე გაეშრო ის; რამდენათაც შეიძლო გაწმინდა, გასუფთავა და ბოლოს, პირდაპირ მასწავლებელთან წავიდა, რომ გულახდილად გამოსტრებოდა მას უკელავერში.

მასწავლებელი ძლიერ გაჭირდა, რომ ბავში ასე მალე გამოცხადა მას.

მე მოგართვით „ცხოვრება კაშინგტონისა“, — უთხრა ებემ, მოწეუნილად და თავ-ჩაღუნკილმა.

— ნუ-თუ უგვევ წაიგითხე? აგრე რად აჩქარდი? აკი გათხარი, რამდენი ხენიც გინდა, შეგიძლია იკითხო მეთქი?

— არა, მე. ჯერ ბოლომდის არ წამივითხავს, მაგრამ მე უბედურება შემემთხეა, — და ამ სიტუაციას ერთად მან გახსნა ბოსხა, რომელ შეაც შეკველი ჭირდა დაზიანებული წიგნი.

მასწავლებელს დაღვრებილი ბავშვი უფრო მეტად შეეხრა-და, კინემ წიგნი.

— მე შემიძლია დაგიბრუნოთ თქვენ ახალი წიგნი, უფა-ლო მასწავლებელო, — სოჭვა ებემ. — მართალია, უფალი არ მაქვს, მაგრამ შემიძლია კიმუშაო. მომეცით რამე სამუშაო.

— სამუშაოს-კი გიშოვი. აგე იქ პურს მეიან. გინდა მოქმედი მომეკლათა?

— საიმოვნებით, როდის დავიწყო?

— თუნდა ხელკე. მაშინ ეგ წიგნი შეწი იქნება, რადგან მას  
პატიოსანის შრომით შეიძენ.

მეორე დღეს, ინათა თუ არა, ებე ყანაში იუო და ისე  
ერთგულად მუშაობდა, რომ ოფლი წურწურით გადმოსდიოდა.

საღამოს, დაღლილი, მაგრამ სრულებით კმაყოფილი, და-  
ბრუნდა ები მშობლების სასლში და ჭილდოც თავისი შრო-  
მისა თან წამოიღო.

### ებე მეტიგეა.



თუ მიდიოდა და მას თან გაჟიჟეა საკშობის  
სანაც აბრამისა, რომელიც ახლა უბებე თვრა-  
მეტი წლის ღონიერი და ჭან-საფი ჭაბუეა შე-  
იქნა. ის ახლა მამზე მაღალი და ღონიერაც  
იყო. სელები მას უფრო დაკორძებული და  
დაბქიბრებული ჭერნდა ბეკრი მუშაობისაგან,  
ვიდრე თითონ მის მამას. მთელს მიდამო  
ადგილებში გაითქვა მისი სახელი, როგორც  
ჩინებული და ღონიერი მუშავისა. ამიტომ, სადაც-კი სამძიმო  
საქმეს შეუდგა ოდნენ, უთუოდ ახალგაზდა ლინკოლნსაც მი-  
იწევდნენ სოლმე დასახმარებლად და უოკელთვის პოულობდნენ  
მასში გამგონესა და დაუზარებელ მუშას.

არც სწავლის სურვილი ჭერებოდა მასში. მოჭერავდა თუ  
არ უურს რომელიმე ახალი წიგნის ამბავს, ის მაშინკე ცდი-  
ლობდა ეშვება და წაეკითხა; თავის ძველ წიგნებისაც აგრე-  
თვე ნიადაგ კითხულობდა სელ-ახლა. მის ღარიბ წიგნთ-სა-

ცაგს მიემართა კიდევ „ცხოვრება ფრანკლინისა“, „და წიგნი „პლუტონისა“, თარგმნილია ინგლისურად. ახლა მთელს მის სამწიგნობრო სიმძღვრეს შეადგენდნენ: დაბადება, კათეხიზმო, იგავ-არაკნი ეზოპისა, „მოგზაურობა პილიგრიმისა“, თან წიგნი „ვაშინგტონის ცხოვრების აღწერისა“, „ცხოვრების აღწერა ჰენრი კლეისა“ და „პლუტონის“. არა წერისთვის დაუწებებია თავი აბრამს. უკალა მეზობლები, რომელთაც-კი სჭირდებოდათ რაიმე მიწერ-მოწერა შორეულ ნაწილებთან და ნითესეკებთან, მას მიწმართავდნენ ხოლმე. ებე შეიქმნა მთელი არე-მარის მესაილუმლედ, მცირებად, და ისწავლა ამ გარემოების შემწეობით შეთვისება სხეისი სულის მოძრაობისა და მისი გამოთქმა-დახასიათება ბეჭითად და ნათლად.

ახალგაზდა ლინკოლნს მაღე უფრო ფართო გრა გაეხსნა მოქმედებისა. ერთი მისი მეზობელთაგანი, მისტერ ჰილტონ გზავნიდა მდინარე მისისიპით ხე-ტყის დიდ ტივს ქ. ახალორლეანში; ჰილტონის მისცა ახალგაზდა ებეს წინადადება გაჭერალდა ამის ტივს. ებე დათანხმდა და დღემდის უბრალო მეშე ახლა გახდა მეტივედ.

რეინის გზები იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო. წალებწამოლება საქონლისა სრულდებოდა გემების და ტიკების საშუალებით. მეტივე მენაკენი კარგა ბლობა ფულს იღებდნენ, მაგრამ ამას მუქთად არ შოულობდნენ ისინი. რარება გემებისა და ტიკებისა მდინარის დაღმა კიდევ ადგილი საჭმე იყო, მაგრამ ჰილტონის ტარება-კი გემისა თუ ტიკისა სულ სხვა საჭმეა: აქ ხმარობენ საჭებს (წულის მოსასმელ ნიჩნებს)

და მათი საშუალებით არღვევენ მომდინარე წყალს და ერთი კათ-კაგლახით ნელ-ნელა მიცურავენ წინ.

მოგზაურობა ებესი და მისი ამსანაგის ჭონისა კერ ას-ცდა ხითების. ცა ყოველთვის არ იყო ნათელი და უღრუბ-ლო. მდინარის ზეპირთები ხშირად ეთამაშებოდნენ მათ და უქადნენ დაფშენა-დაღეწვას; შხაპუნა წევიძები ისე საშინლად ასკე-ლებდა მათ, ორმ სიცივე და სინოტივე შიგ ძვლებში ატანდა მგზაურებს. სხეა-გვარ განსაცდელ შიაც ჩაცევიდნენ ისინი:

როგორდაც ერთხელ, საღამოზე, ამსანაგებმა გააჩერეს ტივი მდინარის ნაპირად და მიწვნენ შესასვენებლად. შეაღამე იქნებოდა, როცა აბრამი გამოაღვინა უცნაურმა ხმაურობამ.

— რა ამბავია მანდ? — დაიუვირა აბრამმა და გააღვინა ჭონი.

ჭონმა თვალები მოიფშვნირა და უთხრა:

— ზანგები.

— ვინ სარ მანდ?

შასუხი არ იყო. ცოტა სნის შემდეგ მეტივებმა დაინა-სეს თავის წინ თოხი შავ-კანიანი სახე, რომელიც მთვარის შექზე უფრო საშინლად მოჩანდნენ, და გაიგეს მათთვის გარგად ნაცნობი ზანგური ენა.

ებე და ჭონი მიხვდნენ, რა განზრახვითაც მობრძან-დნენ ეს ბატონები და მოემზადნენ საბრძოლველად; თოფ-დამბაჩა ამათ არ გააჩნდათ, ასე რომ მხოლოდ თავიანთი ღო-ნიერი მარჯვენის იმედით უნდა ყოფილიყვნენ. ერთი ზან-თავანი უკეთ შეხტა ტივის ნაპირზე, აზიდა მაღლა უშეელებელი გეტი და ღონიერად მოუქნია ჭონის. ებებ ერთის თვალის და-ხამსამძაზე გამოსტაცა ზანგს გეტი, სტაცა თვით მას კი-სერში სელი და გადუძახა ღრმა მდინარეში.

გაისმა შესაბუნი წეალში... მკედარი სიჩუმე ჩამოვარდა... დანარჩენ სამ ზანგს თავს ზარი დაეცათ ასეთის მოუღო- დნელის ამბით და კერაფერი მოახერხეს დაღუპული ამხანაგის საშეგელად. ძალზე ნაცემთ ამათაც მალე ზურგი უჩქენეს ახალგაზდა ჰერუფელესებს და გააძლინენ. მაგრამ არც ებე გა- დარჩა უზიანოდ: მარჯვენა ხელი ძალიან დაუზიანდა მას კე- ტის დარტყმისაგან, ხოლო მარჯვენა თვალი ძლიერი გადიორ- ჩინა დანის ჩაეჭრისაგან შიგ თვალში. ახალგაზდა ბიჭების ღილაკი, სწორედ ამ ღილაკის ჩამოიარა ორთქლით მატარებელმა გემმა და ამათაც აუშევს-რა თავისი ტივი, შორიახლო მა- ჰერუნენ მას. ამის შემდეგ ახალგაზდა მეტიანი მშვიდობიანად ჩავიდნენ ჭ. ახალ-ორლეანში.

სხვა და სხვა თავ-გასართობის განცხრომაშ ამ კებართელა ჭალაქისამ კერ შეაჩერა ახალ-გაზდა ბიჭები იმაზე მეტ ხანს, რასაც თხოვლობდა თვით საქმე მათი ადისა და ამიტომ, სა- კებით ჩააბარეს ხე-ტუე კისიც ჭურ იყო თუ არა, იმ წამსკე უკან დაბრუნდნენ. აյ სამშობლო ტუებში, აბრამი და ჭონი ხშირად გაიხსენებდნენ ხოლმე თავიანთ გაბედულს მოგზა- ურობას მდინარე მისისიპზე და იმ ოთხ ზანგთან უსწორო ბრძოლას, ორმელმაც უფრო დაასლოვა ეს ორი ახალგაზდა ერთმანეთს. ამბავი იმაზე, ორმ ახალგაზდა მეტიანებმა უნა- ლულოდ და გონივრულად შეასრულეს დავალებული საქმე, სწო- რად გაკრცელდა მიღამო ადგილებში და მით დაუმსახურეს პა- ტივისცემა უგელა მეზობლისა.

ინდიანიდან ილინოისში.



რ დასცელდა თომა ლინკოლნს ინდიანში დაუსრულებდა თავისი გაჯახირებული სიცოცხლე. იმ გარემოებამ, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში საოჭარის სისწრაფით შენდებოდა ხალხი, რომელმაც დაიჭირა ინდიანიც, და აკრეთვე დაუძლებელმა სუკვილმა მოგზაურობისამ, ძალა-უნებურად მიიქცია ხინჯების უურადღება მასლობელმა შტატმა ილლინოისმა, რომლის არა ჩეკველევრივ ნაყოფერებაზე ხიზნებს გულის მომხილაკი ამზები ესმოდათ. ამიტომ, მიუხედავად ღრმა მოხუცებისა, თომა ლინკოლნმა გადასწუვიტა მიტეკება მეორე სამშობლისი და გადასახლდა დასაკლეთისგან, ილინოისის შტატებში, სადაც, მონალირეების სიტყვით, „რე და თაფლი ამოსჩეკვდა დედამიწიდან!“.

მარტში 1830 წელს გაუდგა გზას მთელი ოჯახის ლინკოლნისა. აბრამს შეუსრულდა იმ დროს 21 წელი. როგორც სრულ-წლოვანის, მას სრული უფლება ჰქონდა გასცლოდა ოჯახს და დედის საფლაკის ბინაზე დარჩეობილიყო, მაგრამ, როგორც მორჩილმა შეიალმა, ამჯობინა გაუთლა მოხუცი მაშისა, რომ მოსმარებოდა მას ასაღ ადგილზე დასახლების დროს. მოგზაურობამ როი კვირა გასტანა და, აი, ჩვენი მოგზაურები ილინოისის შტატში გაჩერდნენ. სამოსახლო ადგილი - გამორჩიეს დეკატურის მახლობლად, სანგამონის მდინარის ჩრდი-

ლო ნაპირზე. ებეს შემწეობით მოხუცებულმა თომამ ააშენა ძელური ქოხი, და ამის შემდეგ ხიზნები შეუდგნენ ღობის შემოკლებას იმ ადგილების გარშემო, რომელიც მათ დაისაკუთრეს და რომლის ნაყოფიერება, მართლაც, აღმატებოდა უოგელ. მათს მოლოდინს. ეს მუშაობა უმთავრეს ნაწილად აბრამს დააწეა კისერზე და მანაც ჩინებულად შეასრულა იგი. საკვირველის სისწრაფით დაამზადა მან აუარებელი მარგილი და ათ დესეტინა მიწას მშენიერი ღობე შემოკლო.

პირველი ზამთარი, გატარებული ხიზნების-მიერ ილინოისში, იუო მეტად სასტიგი; ამათ უწოდეს მას „ღრმა თოვლიანი ზამთარი“, რადგანაც მთელი ილინიონის გაკე სრული სამი თვე შესუდრული იუო სპეციალი თოვლით. ამ საარაკო სიცირკებს მოჰყვა თან საზრდოს ნაკლებობა. მიუხედავად ქარ-ბუქებისა და უინკებისა, ებეს უნდა ეკლო სანადიროთ და ეშოგა ნადირის ხორცი. ის სრულებითაც არ იუო კარგი მსროლებლი, მაგრამ სიყვარულმა მშობელთადმი — ამ განსაკუთრებულმა თვისებამ ლინკოლნის ხასიათისამ, — ასწავლა მას ასრულება მისთვის უჩვევი საქმისაც თავ-დადებით და სრულის წარმატებით.

თომა ლინკოლნმა მაგრად მოიკიდა ფეხი ახალ ადგილზე, ხოლო აბრამში გაიღვიძა გრძნობამ, რომელიც თანასდევს უოკელს ამერიკელს — დამდგარიულ თავის საკუთარ დამოუკიდებელ ცხოვრების გზაზე. მან გადასწუკილა მიტოვება სამშობლო ქოხისა, და უოკელი განსაზღვრული აზრის გარეშე, უფერდოდ და მხოლოდ ხასიათის მტკიცე ძალით, შეურყეველი პატილსნებით და უცვალებელი განზრახვით, რომ უნდა გაეხსნა თავისთვის გზა, — გამოდგა ფეხი გარეთ.

სულ ჰირკელად მან მიაშერა ჰირტბურღის ქალაქის ახლო-  
მახლო სოფელებს და იწყო მუშაობა, სადაც ორ მოხვდებოდა  
ხელში. აქც, ორგორც წინედ სამშობლოში, მან შეაუერა თავი  
უგელას, ვისთანაც-ვი შეხვდებოდა ორიმე საქმე. აქ მან გაიცნო  
კინძე არმსტრონგის თვასი, ორმედმაც მიაჩნდა ის, ორგორც  
საკუთარი შეაღი. ზამთრის გრძელ საღამოებს „მთელი ოჯა-  
ხობა ჩეკულებრივ ბუხრის წინ ატარებდა: მოხუცი არმსტრონ-  
გი ითბობდა თავის მწერას სელებს, მისი ცოლი, ფიქრისა-  
გან გატაცებული, უმზერდა ცეცხლის აღს, ხოლო აბრამი იჯდა  
სულ-განახული და კითხულობდა ორმედსამე წიგნს, გამოღე-  
ბულს მოხუცი არმსტრონგების, ან, ორგორც თითონ ის ემა-  
ხოდა მათ თავის „აღმზრდელების“ ძეგლი წიგნთ-საცავიდამ.  
აბრამის ტანისამოსი იმ დროს, მართალია, მაღამ გაცეკვილი  
იყო, მაგრამ ის არ აჭცევდა ამას არავითარ უურადღებას. ჭრი-  
და მას სამუშაო და წიგნები და ისიც სრულებით კმაყოფილი  
იყო თვისი ცხოვრებით ჰირტბურღში.

მოვიდა გაზაფხული და აბრამს სელა-ახლად მისცეს წინადა-  
დება გაჟულობა ტიკს ახალ-ორლეანში. მწუხარებით და გულ-  
წრფელი მაღლობით გამოეთხოვა აბრამი თავის „აღ-  
მზრდელების“ და გაემგზავნა სამხრეთისკენ. სამხრეთის დე-  
და-ქალაქში, ახალ-ორლეანში, ახლა მეტად მძიმე შთაბეჭდი-  
ლება მოახდინა დაუაუგაცებულ ახალგაზდა ლინეოლნზე.

ქალაქში მძიმეგარებდა სასტიკა ხოლერა, ორმედსაც უფრო  
„უკითელ ციებას“ გძახან. საავათმუოთუებში ტეკა აღარ იყო,  
ისე მრავლად იუკნენ აკადმეოთნი. მკედრები დაუმარხავად ეკარ-  
ნენ ქუჩებში. უგელა, ვისაც შეეძლო, გარბოდა შორს სენით  
მოცულ ქალაქიდგან.

მაგრამ, აბრამი ამას არ შეუშინდა და იმ დრომდე დარჩა ქალაქ-ში, სანამ საკსებით არ შეასრულა უოკელი მისდამი მინდობილი საქმე. ტიგის პატიონმა უხვად დააჭილდოვა აბრამი ამ გვარი თავდადებული გარჯისათვის და გადაწყვიტა აღარ გაეშვა თავისი ხელიდან ჭკვიანი და პატიოსანი ახალგაზდა, რისთვისაც მისცა მას თანაშემწის ადგილი ქალაქ ნიუ-სალემის მაღაზიაში. აბრამმა სიხარილით მიიღო ეს ახალი თანამდებობა და ამ გვარად მეტივე გახდა გაჭრად. აქაც მაღე გაითქვა სახელი ნიჭიერმა ახალგაზდამ: უგელა იმ დუქანში უფრო შედიოდა, სადაც გაჭრობდა თავაზიანი ლინკოლნი. მისი პატიოსნება საანდაზოთ გადიქცა მთელს იმ პატარა ქალაქში.

მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენ კერძარა კსედავთ ლინგოლის დუქანში. მას ჭიშუროდა სხვა ცხოვრება, სხვა, უფრო საინტერესო მოღვაწეობა; დროთა კითარების სასამოვნო ცვლილებამ შეუწეო მას ხელი აემორებია თავიდან გულის მოსაწეუნი საწონ-სასწორები, მთელი გროვა საანგარიშო დაკორებისა და გაუხსნა მას ახალი ფართო გზა.

---



აბრამ ლინკოლნი-მხედარი, მიწის-მზომელი და  
რურისტი.

ოგორიც ცნობილია, ამერიკის პირველ-მოსახლენია ანუ  
მეგიდონი, იუგნენ ინდიელები. ფართოდ და არხეინად  
ცხოვრებდნენ ისინი ურაველ-გვარი ნადირით მდი-  
დარ, თვალ-უწევდნენ კაქებსა და ტუებს შორის და  
ღრმა, თევზით საგსე მდინარეების მიდამო ჭალებში. წევტ-  
მახაილანი ისარი, მშვიდლი, დაძლეული მტრის თავის გასა-  
ტყავებელი დანა და მოკლე ღერიანი ჩიბუხი და თუთუნი — აი,  
მთლად ის ნიკობი, რაჩა აუცილებლად ესაჭიროება ინდიელს მის  
უფერულ, მაგრამ მისთვის სრულებით კმაყოფილ ცხოვრებაში.  
შესანიშნავი მხედველობა, სუცხოვოდ გახსნილი სმენა, რაღაც  
უცნაური გრძნება (ალღო) ჭრდიდნენ მას მონადირედ თითქმის  
ბალდობიდამკე. ბინადრობით ცხოვრებას ის კერ ეწყობოდა.  
კარავი მისი, ვიგვამი, რომელ შიაც ხელ-აუღებლად შრომიბდა  
მისი შავ-კანიანი სევიუ (ე. ი. ცოლი), ერთად ერთი მეურნე  
უოკელივე შინაურ საქმებისა, მას უოკელ დროს შეეძლო გა-  
დაეტანა თავისი თავშესაფარი ერთი ადგილიდან მეორეზე. ერ-  
თი რამ იყო მისთვის აუცილებლად საჭირო: ფართო, უსამ-  
ზლერო ხალევათობა. იქ, სადაც ერთმანეთზე ახლო ცხო-  
ვრობენ, სადაც ბევრი სალხია, წითელ-კანიანი ინდიელი იხუთება,  
როგორც გალაზი ჩასმული თავის-ნება გარეული ფრინველი,  
როგორც თევზი, ამოუკანილი წელიდან...

და, აი, სწორეთ იმ მხარეს, რომელიც ინდიელს მხოლოდ თავის საკუთრებად მიაჩნდა, მისთვის სრულიად უცნობი „თეთრი“ კაცი გამოჩნდა, მას ის პირველში რაღაც ღვთაებად ეჩვენა, ქუსილისა და ელვის გამჩენად, რადგანაც თოვის სრულა, რომელიც მათ არასოდეს არ ენახათ, პირველად ჭეშა-ჭუსილად მოეჩვენათ, რისგამოც თავზარ-დაცემულნი განუვითხველად გაურბოდნენ მას შორის დასაკლებთისაკენ და სტრუქტურულად მოსულების ხელში მდიდარს ნაპირებს ატლანტიკის ოკეანისას. ასე და ამ გვარად, ახლად მისული ეკროპიელები დაბინავდნენ ინდიელების მიწა-წყალზე, გააშენეს მრავალი დიდ-ხალხიანი სოფლები, და იწყეს სარგებლობა იქაური დიდებული ბუნების უხვი სიმდიდრით. რაცხევა ახალ-მოსულებისა იზრდებოდა, როგორც ამბობს ინდიის ერთი ტომის წინამძღვრობი, კით ბალახი გაზაფხულზე; ესენი შესანიშნავის სისწარაფით მოედნენ ინდიელების მუუდრო სამშობლოს და წინ გაირებეს. დათვრთხეს, თუმცა კელური, მაგრამ შესანიშნავად გამბეჭდავი ხალხი. მწერესარებით უმზერდნენ ინდიელნი, როგორ იმხობა უცხო ტომთა ჩულის კეთებით მათი მამა-პაპეული ტუკები, როგორ იხენება მათი, დღემდინ ხელ-უხლები მინდვრები, და შეელა-კი არ შეეძლოთ. „თეთრებმა“ მოუხშირეს შეკიწროება თვით ინდიელებსაც. საბოლოოებს ართმეკდნენ მიწას და მის მაგიერად კი არათერს აძლეკდნენ მათ. ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ წითელ-კანიანებმა საშინალებელ შეიძლებას „თეთრები“. პირდაპირ გაეწიათ წინააღმდეგობა მოსულებისთვის მათ არ შეაძლოთ: ამას უშლიდა უქონლობა კარგი იარაღისა, და თვით დაცალებებიც ინდიელთა, დაუთვილოთა მრავალ ტომებად, რომელიც კმტრობდენ ერთმანეთს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წითელ-კანიანებმა მათიც

დამწეულს ზედი-ზედ თავ-დასხმა ეკროპიელთ სოფლებზე. სა-  
შინელი იყო ეს თავ-დასხმა: კელურნი უწეალოდ ანადგურებდნენ  
უგელაფერს, ორ-კა ჩაუკარდებოდათ ხელში, სისხლის ღვარს,  
დამასინჯებულ და დატეაგებულ სხეულთა გროვას სტოკებდნენ  
ისინი თავის უკან. ბეკრი, ბეკრი ხიზანი დაიღუპა გაჭახილე-  
ბულის სიკედილით ახალ თავის სამშობლოში, სანამ დამშვიდ-  
დებოდნენ ინდიელები! ეს დამშვიდება-კი მოხდა არა რაომე გან-  
სხვაგებული გამარჯვების-გამო ეკროპილთა წითელ-კანიანებზე,  
არამედ უმეტეს ნაწილად იმიტომ, რომ წითელ-კანიანებმა კერ  
შესძლეს ბრძოლა სწავლა-განათლებით შემოსილ ახალ-მოსულე-  
ბთან და იწყეს სწრაფად გადაშენება: ტომი მათი ქრება, დნე-  
ბა, კითარება ზაფხულის თოვლი მთის წიგრებზე. ხეთი მი-  
ლიონიდან, რასაც დაახლოებით ეთანასწორებოდა რიცხვი წი-  
თელ-კანიანებისა კოლუმბის-მიერ 1492 წ. ამერიკის აღმოჩე-  
ნის დროს, ახლა ისინი დარჩენენ არა უმეტეს 500 ათასისა.

1830 წელში ბრძოლა ხიზანთა წითელ-კანიანებთან ჯერ  
კიდევ სასტრიკი იყო. ინდიანის ერთი ძლიერი ტომის წინა-  
მძღოლმა, ცნობილმა სახელ-წოდებით „შაგმა ქორმა“, გამოსცა  
ბრძანება, რომელიც სიტყვა-სიტყვით სწრაფად გაგრცელდა  
უგელა ინდიელებში.

„ტრეპპერი“ (თეთრი), — იყო ნათქვამი ბრძანებაში —  
„მოეიდა ჩვენთან საბრძოლებლად მდინარე მისისიპით; იგი  
ესკრის თოვს წითელ კანს და მის ცოლ-შვილს ისე, რო-  
გორც კელის მგლებს, ჩვენი ქოხები მთლად გადაგვიწეს; სა-  
ქონელი და პირუტყვი დაგვტაცეს. მმებო! მე მივდიგარ ფერ-  
მისდილებზე (კ. ი. თეთრებზე) და მოგიწევთ თქვენც დად-  
პატარიანად მაგიერი გადაუსადოთ ჩვენ მოტებს!..“

„შავი ქორის“, თავ-გამოდებულ მოწოდებას სმა მისცა თითქმის ინდიელთა უკელა ტომმა. ინდიელებმა მიჰყეს ხელი თავიანთ ცულ-ნაჯახებს და სულ მცირე სანში თავს-ზარი და-სცეს ახალ-მოსულებს. ბრაზ-მორეული ინდიელები თავს ეს-ხმოდნენ ხიზნებს, აოსრებდნენ მათს უნქებს, სწავლიდნენ და ანადგურებდნენ ღობებას, იტანებდნენ საქონელს და, ისრითა და ყარაბინით ხელ-შეიარაღებული, უწყალოდ ჭიდებიდნენ თეთრებს. მთავრობა იძულებული შეიქმნა მიეღო სასტიკი ღონის-ძიება ამბოხების მოსახლეობად და გაგზავნა მათ წინა-აღმდეგ ჯარები, შემდგარი უმეტეს ნაწილად თვით-მსურველ-თავან. უკანასკნელთა რიცხვში იყო აბრამ ლინკოლნიც, რო-მემაც ჯარაბნობის პირველსაგე დაბახებაზე, მაარეოვა სასწორი და საანგარიშო ჩოთქი, და შეკიდა ჯარში უბრალო ჯარის ქაცად. ათ, რას სწერს იმაზე ერთი მისი რაზმის ამხანაგთა-განი: ლინკოლნი უცინად შეიქმნა ჯარის საყვაელთაო განსაკუთ-რებულ საუკარლად და მალე დაინიშნა კაპიტნად, კ. ი. მსე-დართა ცალებ რაზმის უფროსად. ეს იყო ნიჭიერი, მარჯვე მსედარი, მკაცრად თვალ-უკრის მაღევნებელი თავის ხელ-ქე-ითებისა, გულ-მოდგინედ აღმასრულებელი თავის თანამდებო-ბისა, გამხნევებული მამაცობით და სიყვარულით სამშობლო-სადმი.

ბრძოლას ინდიელებთან არ ჭირნდა თვისება დიდი სამ-ხედრო ომიანობისა. თვით ლინკოლნი ასეთის სუმრობით მოიხსენიებს მას: მართალია, მთელი ომიანობის განმავლობაში მე არ შემსვედრია ნახვა არც ერთი ცოცხალი მეომარი ინდა-ელისა, მაგრამ სამაგიეროდ მე გამოვიარე არა მცირე სისხლის დამათხეველი კინკლაობა უკეთურ ბოცო-მეულებთან. თუ გული

არ წამსკლია სისხლის შეუენებელი დანთხევისაგან, მის ნაც-  
კლად არა ერთსელ კუოფილვარ სიყვდილზე მისრწნილი შიმ-  
შილისაგან.“

ომი „შავ ქორთან“ დიდ ხანს არ გაგრძელებულა: გლა-  
სედ შეარაღებული ინდიელები მალე დაამშეიდეს და მსურ-  
გელთაგან შემდგარი „თეთრების“ ჯარი დაითხოვეს. მაგრამ  
ამ ცოტასის სამხედრო მოლეაწერას ძლიერი გავლენა ჰქონ-  
და ლინკოლნის მოედს შემდეგ ცსოკრებაზე. სამხედრო ცხო-  
ვრების მეოსებით მეშეშე და მეტივე ლინკოლნი დიდების  
ფართო გზას დადგეა; მან ცხადად დაიხსნას, რომ მალა და მიმ-  
შველოსა კაცისა არა მხოლოდ ლონიერს სელებშია და ამიტომ  
დაუყოვნებლივ შეუდგა ამერიკის განხობის შესწავლას ამ გა-  
ნზრასვით, რომ ოდესმე მსწავლული იურისტი გამსდარიულ.  
ასირებული სანისაკი იურ ეს ასალი კანდიტატი სამსაჯულო  
თანამდებობისა სსკა მდიდარ, სუფთად ჩაწმულ-დასურულ,  
გაურაღებულ-გაელვარებულ ამხანაგებთა შორის! აშკარად სხან-  
და, რომ ტუის შვილი იურ ეს დარიბულად ჩაწმულ-დასურული  
კაცი, თავისებურის ენით მოლაპარაკე, დაბალი და ცოტათი  
მოთავსედო უოფა ქრევით.

ებე იურ უზარ-მაზარი ტანისა და საკმაოდ უშნო აგე-  
ბულობისა. მისი მსხვილ-ძარღვიანი, გძელი სელ-ფეხი, სხან-  
და, ამბამებდა მას, როცა იდგა ან არას მუშაობდა იგი. ხელები,  
რომელიც ოდესმე აგრე მოსწონდა მას, კეპართელ ბერკეტებს  
ჰგანდნენ, რომელთვის სარგო სელ-თამანები მნელად თუ  
სადმე იშოკებოდა. კისერი ჰქონდა აგრეთვე ძალიან გრძელი,  
ხოლო გულ-მეტედი ძალიან კიწრო. განსხვავებით შესანიშნავი  
იურ თავი ჩვენი კანდიდატის იურისტისა, მოგრძო, კიწრო,

